პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---ივნისი 2024 წელი

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდ დიღომში, იოანე პეტრიწის 4 ა კორპუსთან არსებული უსახელო სკვერისთვის შოთა ქარსელაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. საბურთალოს რაიონში, დიდ დიღომში, იოანე პეტრიწის 4 ა კორპუსთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს შოთა ქარსელაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


იოანე პეტრიწის ქუჩა
01.10.06.009.027
01.10.06.009.024
01.10.06.009.063
01.10.06:009.002
01.10.06.008.007
01.10.06.009.004
01.10.06.009.001
01.10.06.009.047
01.02.747
01.10.06.009.059
01.01.799
NAPR

(საჩივრის ტექსტი)

11

საქართველოს პრეზიდენტს
ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს

ქალბატონო პრეზიდენტო,

მე გახლავართ, თქვენს მიერ მედლით "სამოქალაქო თავდადებისათვის" დაჯილდოებული შოთა ქარსელაძის და. ბიჭის რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება სხვების დახმარებას მიუძღვნა, ბიჭის რომელმაც საკუთარი სიცოცხლის სანაცვლოდ გადაარჩინა 13 წლის გოგონა, მდინარე მტკვარში დახრჩობას.

პრეზიდენდის სასახლეში გამართულ, მედლით დაჯილდოების ცერემონიაზე, გამოითქვა სურვილი მისი სახელის უკვდასაყოფად, შერჩეულიყო შესაბამისი ლოკაცია და ქალაქში ეარსება ქუჩას ან სკვერს შოთა (გოშა) ქარსელაძის სახელობის.

მოგმართავთ თხოვნით, დამეხმაროთ აღნიშნულის განხორციელებაში და მის საცხოვრებელ სახლთან (ქ. თბილისი, დიდი დიღომი, იოანე პეტრიწის 4/ა კორპუსთან) მდებარე სკვერს მიენიჭოს მისი სახელი. სკვერს, სადაც ყოველი ხე თუ ბუჩქი მისი დარგული და მოვლილია.

წინასწარ გიხდით მადლობას გულისხმიერებისთვის.

ხათუნა ქარსელაძე
08.05.2023 წელი

პრეზიდენტის ადმინისტრაციის
№ 1/5408
08. 05. 2023
5 ფურცელი

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

№3335
10 / მაისი / 2023 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

კომპეტენციის შესაბამისად გიგზავნით საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შემოსულ მოქალაქე ხათუნა ქარსელაძის განცხადებას.

გთხოვთ, განიხილოთ და რეაგირების შესახებ აცნობოთ განმცხადებელს და პრეზიდენტის ადმინისტრაციას.

დანართი: 2023 წლის 8 მაისის N 1/5408 განცხადება.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე
თეა დარსანია

გ ო შ ა

- გოშას ვეტყვი, მამიდა და დამეხმარება; გოშას ვეტყვი და მოაგვარებს; გოშას ვეტყვი და ყველაფერს გააკეთებს. გოშას ვეტყვი და გადამატანინებს, გოშას ვეტყვი და ამატანინებს; გოშა წამომყვება, გოშა დამარგვევინებს,; ვეტყვი და დამანგრევინებს...

- ვინ არის გოშა. ამირანია, დევკაცია, გოლიათია,; გმირია?!

-არც გოლიათია და არც დევკაცია, მარგამ ათი კაცის ძალა აქვს, ყველას საკეთებლის გაკეთება და გაფუჭებულის გამოსწორება უყვარს გოშას. შრომა უყვარს, საქმის ბოლომდე მიყვანა, ერთგულია, თავგანწირულია მეგობრისთვის... მამაოს ჰკითხე თუ არ გჯერა, ეხმარებოდა ეკლესიის აშენებაში... რემბო დაარქვეს მაშინ გოშას. ვნახე, გავიცანი და დავრწმუნდი-; არც დევს ჰგავდა გოშა, არც გოლიათი და ამირანი იყო..

ერთი, ქართულსახიანი , შავცოცხალთვალება, გრძელმიანი, ბენდენიანი ბიჭი იყო გოშა, მაგრამ ორის ნაცვლად ოთხი ხელი ჰქონდა, ერთის ნაცვლად ათასი გული, სინდისი და ნამუსი ჰქონდა, სიკეთე ჰქონდა და სიყვარული მეგობრის, კაცის, მოყვასის, ყველა სულდგმულის, თავგანწირული სიყვარული .

სადაც გვიჭირდა, იქ იყო...

სასაფლაოზე ბზას რომ ურგავდა ჩემს შვილს, გოშა იყო ... მოედანზე თამაშით გართული უმამოდ დარჩენილი ბიჭისთვის ტკბილეული რომ მოჰქონდა თვითონ ობლობაგამოვლილს, ის გოშა იყო...

არც დევკაცი იყო, არც გოლიათი, არც ამირანი ერთი ჩვეულებრივი, სინდის-ნამუსიანი ბიჭი იყო, უბნის კოლორიტი იყო გოშა... იქ იყო სადაც ვიღაცას უჭირდა.. იქ იყო, როცა რიონის ტალღებს მიქონდა უცნობი ... მტკვრის ტალღები ჩანთქმას რომ უპირებდა პატარა გოგონას იქ გაჩნდა.. რა დროს ბათინკების გახდაზე ფიქრი იყო, ან იმის გააზრება, რომ ცურვა არ იცოდა, წყლის რომ ეშინოდა... ადამიანი იხრჩობოდა, ადამიანს სჭირდებოდა შველა.

-რომ იცოდე, მამიდა, რა ბედნიერი სახე აქვს გოშას, გამარჯვებული სახე აქვს გოშას, რაც უნდა გამეკეთებინა, ის გავაკეთეო, - ეს ამოვიკითხე მის სახეზე, ამოსაცნობად მორგში რომ შემიყვანეს...

მაშინ გავიგე, რომ გოშა კი არა შოთა რქმევია, ჩვეულებრივი კი არა გმირი ყოფილა, უფლის მხედარს რომ მალავდა გოშას უბრალოება, იესოსავით, სიყვარულის მსხვერპლი რომ ყოფილა 33 წლის შოთა ქარსელაძე.

თუმცა ეს უკვე მთელმა საქართველომ იცის!...

ნანა გვილავა

საქართველოს პრეზიდენტის

განკარგულება

N15/07/01 2021 წლის 15 ივლისი ქ. თბილისი

შოთა ქარსელაძის მედლით „სამოქალაქო თავდადებისათვის“ დაჯილდოების შესახებ

2021 წლის 3 ივლისს ქ. თბილისში, მდინარე მტკვარში ადამიანის გადარჩენისას გამოვლენილი სამაგალითო სამოქალაქო თავდადებისათვის, განსაკუთრებული მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და პიროვნული მამაცობისათვის **შოთა ქარსელაძე** დაჯილდოვდეს მედლით „სამოქალაქო თავდადებისათვის“ (სიკვდილის შემდეგ).

N61

სალომე ზურაბიშვილი

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

0114, თბილისი, მეფე ერეკლე II-ის მოედანი №1
ტელ.:(995 32)2990378, 2989540, ფაქსი:2987114

CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA

1, King Erekle II sq. Tbilisi, 0114
Tel. (995 32)2990378,2989540; Fax:2987114

შოთა ქარსელაძის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს

დიდია განსაცდელი, რომლის წინაშეც თქვენ აღმოჩნდით, მაგრამ შოთას მიერ გადადგმული ნაბიჯი, მთელი მისი ცხოვრების მწვერვალია. უფალი ბრძანებს: „არავის აქვს იმაზე დიდი სიყვარული, ვინც სულს დადებს თავისი მეგობრისთვის“ (იოანე, 15,13). ბუნებით ისედაც გამორჩეულმა, სამშობლოს გულშემატკივარმა შოთამ ამის მაგალითი უჩვენა საზოგადოებას.

თქვენ გლოვა არ გმართებთ, რადგან ასეთნი უფლის სავანის მკვიდრნი ხდებიან; „პატიოსან არს წინაშე ღვთისა სიკვდილი წმიდათა მისთა“.

ღმერთმა დაგლოცოთ

სრულიად საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქი

06.07.2021

შოთა (გოშა) ქარსელაძე

(1985-2021)

გმირულად დაღუპული მოქალაქე, დაჯილდოებულია მედლით „სამოქალაქო თავდადებისთვის“

შოთა ქარსელაძემ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება სხვების დახმარებას მიუძღვნა, ახალგაზრდა კაცმა საკუთარი სიცოცხლის სანაცვლოდ გადაარჩინა 13 წლის გოგონა მდინარე მტკვარში დახრჩობას.

2021 წლის 3 ივლისს ქ.თბილისში, მდინარე მტკვარში ადამიანის გადარჩენისას გამოვლენილი სამაგალითო სამოქალაქო თავდადებისთვის, განსაკუთრებული მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და პიროვნული მამაცობისათვის 2021 წლის 15 ივლისის #15/07/01 პრეზიდენტის განკარგულებით შოთა ქარსელაძე დაჯილდოვდა მედლით „სამოქალაქო თავდადებისათვის“(სიკვდილის შემდეგ). ჯილდო შოთა ქარსელაძის დედას მარინა გარსევანიშვილს გადაეცა.